კვირა 22 მარტი 1915 წ. ფასი 5 კაპ.

მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 7

გამოდის ყოველ-კვირეულად. მასალები გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе

ქრისტე აღსდგა!

ბრძოლის ველზე.

6480

Академия наук
ა.ა.ფ. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ნუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили

ქრისტე აღსდგა!

გაჰქრა წყვდიადი, (სიზმარში ვნახე) და დაითრგუნა ფარისეველი,
ცას გადეყარა შავი ღრუბელი, აღსდგა იესო ნაზარეველი!
დამარცხდა ტლანქი, უხეში ძალა, იუდა მრუში, შხამით აღვსილი,
დაინგრა ტახტი უსამართლობის, აღსდგა სიმართლე ნათლით მოსილი!
კვლავ გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ, დაგვიდგა ხანა შვების მომგვრელი,
ხარობს ქვეყანა, მთელი სამყარო, ისმის სიმღერა საამო-ნელი.
ყოველ კუთხეში გაისმის ხმები: მაშვრალნო, აღსდეგ და განიხარე,
შემოუერთდი საერთო მეჯლისს და უკუ-აგდე შავი სამარე.
გეყოფა მსხვერპლი, ტირილი, ჭმუნვა, კუბო, საფლავი, გოდება მწარე,
აღსდგა სიმართლე, ჩაები ფერხულს, გამხიარულდი და ინეტარე!

—

გამომეღვიძა, ვიგრძენი ტანჯვა—ისევ ცრემლები, სისხლისა ღვარი!..
ოჰ, რა ცუდია მწარე ცხოვრება და რა კარგია—ტკბილი სიზმარი.

გოგია.

აქ და იქ...

აქ აღდგომაა იესოსი, ტანჯულ-გვემულის,
იუდთა ხელით დამარხულად ვინც რომ გვეგულის;
თვით მიწამაც ვერ დაიტია ეკლის შემკულის
გული—მოძღვრება ჩვენის მოძღვრის მწარედ ტანჯულის...
და ჰა იგრგვინა, აღმოხეთქა ძალთ-ძალით მკვეთრით,
უკუ აქცია იუდთა ბრბო და აღსდგა მკვდრეთით...
აღსდგა იესო!.. მტერი სტირის, მოძმე იცინის,
დუდუკი მოსთქვამს, ჩანგი ჟღერავს, დროა აქ ლხინის;
ისმის ზართ რეკა და სანთლები ხალხს ხელთ უნთია,
ზოგმა მორწმუნემ, სიხარულით ღამეც უთია...

* * *

იქ კი, იქ ნაცვლად სიხარულის, ნაცვლად ლხინისა,
ისმის ხმა მწარე ან ზარბაზნის, ან საყვირისა;
ნაცვლად მილოცვის—ერთმანეთსა გულსა უპობენ,
ნაცვლად აღდგენის სიცოცხლესა ადრე უსპობენ...

მიხ. ნინოწმინდელი.

კვნესის, ოხრავს ქვეყანა!..

(უძღვნი ფ. ნ—ს.)

თოფ-ზარბაზნებით უხმობენ ვაშკაცთ, ძალებსა ქმნიან,
—„მტრებისაგანნ იხსენ სამშობლო“, – გაიძახიან...
და მეომარნიც ბრძოლისა ველზედ ირაზმებიან.
ისმის ყიჟინა, სამსხვერპლოზედა ეწირებიან...
იბრძვიან გმირნი, „შემოსეულთ“ როს უყურებენ
და წლობით ნაშრომს ყუმბარებით ანადგურებენ...
უმანკო სისხლი, ნაკადულათ მოსჩქეფს ყველგანა,
დედა შვილს სტირის, და ძმასა გლოვს, ოხრავს ქვეყანა...
„სამშობლოს იცვენ...“ მხოლოდ სდუმრან არაფრის მქონე,
(თუმცა-ღა ერთხელ, იგიც იყო ძალზე გამგონე...)

ახლათ მოსული.

აღდგომა დღე ქალაქში

აღდგომა დღეა. ქალაქი ქუჩებში ისეთი მოძრაობაა, თითქო ხალხს ეშინიან ენვერ-ფაშა მოდის არდაგანიდანაო. ტრამვაის ვაგონებში ტევა არ არის. მიქროლავენ ავტომობილები და ფაიტონები. ტროტუარები სავსეა ხალხით. ყველა მიეჩქარება. უნცროსები მირბიან უფროსებთან.

აგერ პოლიციელი უსტვენს, ხალხი მოგროვდა.

პოლიციელი ჯავრობს.

— აბა რას მოგროვდით!.. დაიშალენით... რა ნახეთ აქ საყურადღებო? კვდარი კაცი აღარ გინახავთ? გულ წასული ხომ გინახავთ... დაიშალენით, თორემ კბილებს ჩაგამტვრევთ...

რა ამბავია?

ტროტუარზე წევს კარგათ ჩაცმული მოხელე. გულ წასულია, პირდაღებული.

ვაშე ბლაგოროდიე! ადექით, აქ წოლა არ შეიძლება.

კაცი ვერ მოასულიერეს, ჩასდეს ეტლში და სამკურნალოში წაიყვანეს.

ექიმმა როგორც იყო მოასულიერა.

— ავათა ხართ? რა დაგემართათ? რა გტკივათ? რათ წაგივიდათ გული?

— ქრისტე აღსდგა!

— ჭეშმარიტათ...

— მომილოცნია, ღმერთმა მრავალ წელს დაგასწროთ.

— გმადლობთ. თქვენც დაგასწროთ, მაგრამ... რა გტკივათ? რათ წაიქეცით ქუჩაში? აბა მოიგონეთ. ხომ არაფერი დაგილევიათ?

— არა, არა... არაყი და ღვინო ხომ აკრძალულია...

— მაშ გული რათ წაგივიდათ?

— დავიღალე, მოვიქანცე...

— ბევრი იარეთ?

— არა... ბევრი არ მივლია. ნაწირვევს ჩაი გიახელით. ღვინო არა მქონდა. დილით გალავინსკზე წავედი ივან-ივანიჩთან... ჩვენი უფროსია... მიულოცე. იქიდან რკინის გზის სადგურზე გაველი ფეხით. ტრამვაიში ადგილი ვერ ვიშოვე, ეტლი კი ძვირია. იქიდგან მიხეილის ქუჩაზე წამოვედი. .

— ექიმო, ერთი გულ-წასული მოხელე კიდევ მოიყვანეს...

— მიხეილის ქუჩაზე მეორე უფროსთან გახლდით, მოულოცე ქრისტეს აღდგომა. ამ უფროსს არაყიცა ჰქონდა, ღვინოც. არ ვიცი, სად და როგორ უშოვნია...ცოტა დავლიე, მიულოცე, ხომ ვერ ვაწყენინებდი. კარგი კაცია, გულ-კეთილი... ივან ივანიჩს არა ჰგავს.

— ექიმო, ერთი მოხელეც მოიყვანეს, მოახსენა ექიმს პოლიციელმა...

— იქიდგან ვერაზე წავედი მესამე უფროსთან. ისიც კარგი კაცია.

— იქაც ფეხით წახვედით?

— დიახ... რას იზამ! მცირე ჯამაგრი მაქვს. ავტომობილი ვინ მომაშავა?.. ეტლი ძვირია, ტრამვაიში კიდევ ადგილს ვერ ეღირსები...

— მერე?

— მერე ავლაბარში წავედი ნათლიმამასთან. მდიდარი ვაჭარია. რას იზამ? რომ არ წავსულიყავ, ეწყინებოდა. იმასაც ღვინო ჰქონდა. ორიოდე ჭიქა დავლიე. რომ არ დამელია, ეწყინებოდა. იქიდგან ორთაჭალაში წავედი ბიძაშვილთან. არ შეიძლებოდა არ წასვლა. ახალი წელი არ მიმილოცნია და ძლიერა სწყინდა. მერე სოლომონ მღვდელთან შევიარე, ჩვენ მღვდელთან, მეტი რა გზა იყო რომ არ მიმელოცნა! მერე კნეინა ბარბარესთან შევიარე, ჩვენი ნათესავია და შემწე. დიდი საქმის გაკეთება შეუძლიან, ქალაქში ყველას იცნობს, იმის წყალობით ჩინი მომიმატეს... არ იქნებოდა... ორიოდე ჭიქა ღვინო იქაც დამალევინეს, ორიოდე წითელი კვერცხი გიახელი, მერე პორფირე ვაჭართან ვიყავი, ფული მმართებს, იწყენდა, არც ფულს მაძლევს და არც მომილოცაო. მერე ნიკიფორესთან შევიარე... მერე გული წამივიდა...

ცოტა მოასულიერეს საბრალო მოხელე და ურჩიეს შინ წასულიყო.

— არა, არა, ხუთიოდე ოჯახი კიდევ დამრჩა, უნდა მიულოცო.

წავიდა მისალოცათ მოხელე, კიდევ გული წაუვიდა, მაგრამ ვეღარ მოაბრუნეს და სული განუტევა.

საუკონოთ იყოს ხსენება მისი... მეორეთ მოსვლის დროს აღსდგება...

ეშმაკის ფეხი

ნუ დავზოგავთ

დღეს — როდესაც მთელ ქვეყანას
კარზე ადგას გასაჭირი,
ომი — ტყვია, ხოცვა-ჟლეტა
და ათასი სხვაცა ჭირი;
როცა სიკვდილს, პირშავ სიკვდილს
აულესავს გრძელი ცელი
და უწყალოდ კაცთ სიცოცხლეს
მკის ყოველგან საძაგელი;
როცა ძაძით იმოსება
ქალაქ-დაბა მთლათ სოფელი,
სისხლით ირწყვის მთა, კლდე, ბარი,
ტყე და ჭალა, მინდორ-ველი;
არვინ იცის ხვალ ისევე
დაინახავს მზისა სხივებს,
ჭირი მოჭკლავს კბილთა ღრჯენით,
თუ მტრის ტყვია გააციებს, —

—

ამ დროს ვინმე კუჭის მონა
თუ თვის კუჭზე მარტო ზრუნავს,
საბოროტოდ მისი ჭკუა
უკუღმართად ფიქრობს, ბრუნავს;
გახიზნულებს, მშიერ-ტიტვლებს
სხვის მიცემულ პურს თუ ჰპარავს
და მის ნაცვლად რომ გაათბოს,
გადააძრობს თავზე კარავს;
ან ვაჭარი სანოვაგეს
უმიზეზოთ გააძვირებს
და ისედაც შეწუხებულს
ხალხს შიმშილით ააყვირებს;
ან სხვა ვინმე, (სულ ერთია)
უსვინდისოთ ვინც მოქმედობს,
ამავე დროს თავის ქებით
ყოყოჩობს და ბევრსა ყბედობს;

—

ნუ დავზოგავთ ამისთანებს,
მათ მათრახი გადუჭიროთ,
შევარცხვინოთ მით საქვეყნოთ
და მწარე ხმით ავაყვიროთ, —

რომ შემდეგში მოიშალონ
უსვინდისო საქციელი,
ხალხის ყველეფას, თაღლითობას
აღარ მიჰყონ კვალათ ხელი.
ნუ დავზოგავთ, თუ გინდ იყოს
მოყვარე და ნათესავი,
უნდა ყველას გადუჭიროთ,
ვინც კი არის ფლიდი, ავი.

ბერი ქედანი.

მეგობრული მათრახები

ჩვენს „ეშმაკეგს“

თანამშრომლები ბევრი გვყავს
„მათრახზე“ დანაფიცები,
მაგრამ თვით-ნება, ცუღლუტნი,
როგორც სამოთხის „პრინცები“!
პატრონი არ ჰყავთ ზოგ-ზოგებს,
რომ აუწიწონ ყურები,
თორემ, თითონვე არიან
მათრახით შესახურები.

—

პირველი იმათთაგანი
ცნობილი „ირეთელია“,
(დაეძებ, ვერსად იპოვნი,
კვირა გაივლის მთელია!)
ეშმაკი ეგზომ ზარმაცი
მე არსად გამიგონია!
(რომ ვუცქერ, ადამიანთა
შთამომავალი მგონია!)

—

„პიტნა“ ყოველგან პიტინებს,
ეს მუყაითი მშრომელი,
ჩვენს რაზმშიც არის, სხვისაშიც,
სამ სკამზე არის მჯდომელი!
მეოთხეზეც რომ გადაჯდეს
ვინ გაამტყუნებს, რომელი,
მაგრამ დაქანცავს („ჯდომანი“)
ესოდენ განუზომელი.

—

ყარაჩოხელი ეშმაკი
ერთი გვყავს, დაუზარელი,
ვინ არის, გითხრათ? — ეს გახლავს
ანტონა „განჯის-კარელი“.
პირში თქმა უყვარს ყოველთვის,
არავის მოეხათრება!
(მუზა კი მაშინ ეწვევა,
როდესაც მაგრათ დათვრება!)

—

„შხანკოლა“ ბოლო ხანებში
მათრახს ვერ იქნევს მწარესა,
მიტომაც, გაიძვერები
გამრავლდენ მისსა მხარესა.
მაგრამ უსტარი მივიღეთ,
ახმაურებას გვპირდება.
(ის თუ კარგათ გვყავს, გურიას
მაშინ რა გაუჭირდება?)

—

„ცხვირაძე“ დადუმებულა,
ოზურგეთელი მზვერავი!
(იქნება სტვირი გაუტყდა?
ვუდა აქვს შესაკერავი?)
ვაი თუ მტრებმა დაჩაგრა
და ცხვირზე გაჰკრა ბრჭყალები?
(მაშინ ხომ ბუქნას დაუვლის
ზოგ-ზოგი ქუჩის ქალები!).

—

ნეტა რა ქარმა წაგვართვა,
აღარსადა სჩანს „წაველა“!
ბევრიც ვეძებო, სად ვნახავ,
(ჭინკაა, ერთი მტკაველა!)
თუ მისით აბ გამოჩნდება
ის ჩვენთვის დაკარგულია,
(მწვავე მკბენარი რომ იყო
მიტომაც გვეწვის გულია).

—

მაგრამ ზოგიც რომ დავკარგოთ
მაინც ბევრი გვყავს რაზმები;
(დადიან ყოველ კუთხეში
მათრახით შენაკაზმები).

საქართველოს მოღვაწენი ეძღვნიან კანტხრომასა
და ეროვნულ ეთ უდიდესს ქრისტეს მგზდრეთით ადგომასა,

ლამის დაიპყრან ერთიან
ქალაქი, დაბა-სოფლები
და გაიძვერა ჩარჩებსა
ბევრსა უტირეს მშობლები.

—

ულოცავ ყველა „ეშმაკებს"
აღდგომის გათენებასა.
(ხალხი თუ ურჯულო გახდა,
ჩვენ მივყვეთ ქრისტეს მცნებასა):
ყველამ იცოდეს — მართალსა
ნურავინ მისცემს ვნებასა,
თორემ სასტიკად მოვითხოვთ
იმათ პასუხის გებასა.

მათრახოსანი

ნუ დამანახვეგთ...

იქით წაიღეთ, ნუ დამანახვებთ,
ნე დამანახვებთ მაგ წითელ კუერცხსა,
მამოჯვარეთ, ან გაათეთრეთ —
ნუ მესვრიათ ტყვიას, ნუ მესვრიათ მეხსა;
ნუ მეუბნებით — დაგეკარიო,
ეს ჩვენი კვერცხი შეხსნილ დასძღეს;
ეგ სიტყვა ნაშრომ სასხლის ნოხეკსა,
წითელი ფერი იმიტომ აძეს;
იმიტომ აძევს... და იმიტომ ძეულს,
რომ მოძმეთ სასხლი დღესაც ინთქება
და ვაი თუ ეგ — ამ სასხლის ზღვაში,
ან შეიდება, ან იღებება...

უჩინარი.

გურული სცენა

(საღდგომოდ)

ღმერთი ამოაგდებს იმის ოჯახს, ვინცხამ ცოლის შერთვა მოიგონა. შეეიქენი ოცდა ერთი წლის, გადავიტანი სალდათობის და შეიქნა ჩემს ეზოში ასეარე. ღღეი ერთი იყო და სამოცი მეეიდოდა შვამავალი...

შეირთე ცოლი, გაახარე შენი დედ მამის გული და ჩვენც ქორწილი გვაპამეო. აწი მოჰყვებოდა დედა ჩემი, იმ ღღეს, რომ მოვესწრებოდე ჩემს შვილს ცოლიანს ვნახავდე, სიკ-

მწუხარება.

მხიარულობა.

ყდილს მერე არაურად არ ჩამვაგდებო... აი დასაქცევი ნასტავლი კაცებიდან მჭონდა გაგონილი, ქალი ჯერ უნდა გიცნო, ხასიათები გეიგო და ცოლათ მერე უნდა შეირთოვო... გევიცანი ერთი ქალი, მომეწონა და გადავწყვიტე რათაც უნდა დამიჯდეს ცოლათ უნდა შევირთო შეთქი. გადავწკვერტე ულვაშები, დავბრაწე თვალები და დაუწყე არშიყობა. არ გასულა დიდი ხანი, მოვაჭახრაკე საქმე და დეიწერე ჯვარი. სადმე რომ ცოლებზე დეიწყებდენ ამბავს მეც გადეისვამდი ულვაშებზე ხელს და ვიტყოდი: ჩემი ცოლი ძაან ლამაზი არ არის, მარა ხასიათი კი ძაან კარგი აქ მეთქი.. აწი საწყალი ჩემი დედ-მამა სულ ამას ლაპარაკობდენ: მოგვეხმარა ღმერთი, რომ რძალი კაი ხასიათის შეგვხდაო... თურმე პირველათ მოგვაჩვენა თავი, თვარა კაი ხასიათის კი არა, შავი ჭამი ყოფილა.. არ გასულა სამი თვეი, რომ ჩემსას სამოცჯერ შეიქნა ნიგუზალის ფრიალ-ფრიალი. იმდენი ქნა, რომ დედ-მამას ჩამომაშორა და ყველა მეზობლები გადამკიდა...

ეიჩემა ერთი მისი ნათესავი ქალი და დღეი და ღამე ერთათ იყვენ, იყიდეს ამ საალდგომოთ ერთნაირი საკაბეები და კერავდენ ერთათ. მეც ეზოში ვმუშაობდი, რაცხა ეზოში ყვირილი შემომესმა, შევარდი სახლში, მოსვლიენ ამ დასაღუპავ კაბის „ვიკრიკაზე“ ჩხუბი. ჩაფრენიენ ერთი მორეს თმაში და წიწავენ აქითიქით. ჩავარდი შუაში გავთიშავ მეთქი, წამოვკარი ჯორკოზე ფეხი და ცხვირი და პირი კი დავაბდღალე კერიაზე. ცხვირ-პირი ჩევიმტვრიე, ორი წინე კბილი ჩევიგდებიე და აგი ყველა ჩემი ცოლის კაი ხასიათებით დამემართა...

აღდგომა დილას მეკიდა ჩემი მეზობლის ბალანე. ქრისტე აღსდგა მითხრა და წითელი კვერცხი მომილოცა. მოტრიალდა ჩემი „ანეინა“ და ბალანას კითხა: ლადიკო! ახალი კაბა თუ მშვენისო?—შენ კაბა გშვენის და ბიძიას კი უკბილობა აუშნოებსო.

რ. ჯიბილ.

ქრისტე აღსდგა!

(ბრძოლის ველიდან)

ქრისტე აღსდგა! ძმა მილოცავს,
ნუ ჯიუტობ, იწამეო.
შენ ტყვიები გადაყლაპე,
(სახლ-კარი და მიწა მეო).

ქრისტე აღსდგა! რას უყურებ,
ცეცხლს და მახვილს ეკვეთეო,
მტერი მუსრე რაც შეიძლო,
გაახარე მოკეთეო.

ქრისტე აღსდგა!—დედა მწერავს,
აღსდგა, შვილო, მის მოძღვრება,
იმედია მის აღდგენით
სისხლი აღარ დაიღვრება.

ქრისტე აღსდა და ეს ომიც
გათავდება უეჭველად,
კაცი კაცსა აღარ მოჰკლავს
ყვავ-ყორანის შესაჭმელად.

ქრისტე აღსდგა! ცოლი მწერავს,
მალე მოსვლას ესწრაფეო,
თორემ ხელთა გაგისხლტება
რაც კი ჩემზედ იჯაფეო.

ქრისტე აღსდგა! იმისთვის რომ
გვერდზედ მიჯდე, მასიამო,
ნეტარების ხის ნაყოფი
შენც მიირთვა, მეც მაჭამო.

ქრისტე აღსდგა!—ძმა მილოცავს,
ნუ ჯიუტობ, იწამეო.
შენ ტყვიები გადაყლაპე,
(სახლ-კარი და მიწა მეო!)

ა. განჯის-კარელი.

საალდგომო კაბა

(ხუმრობა)

ყველაფერს მისი დრო გაუჩინა ღმერთმა, რა დროს ხუმრობაო, იტყვიან ზოგიერთები. მოუწერე ხუთითითები ამის მთქმელს. სწორედ რომ ცუდი დროის მომსწრე დავრჩით, მაგრამ წირვის უმალ საწირავს ნურავინ გადიხდის და ნურც ჩემი წერილის მარტო სათაურის წაკითხვა გააჯავრებს; ვეხუმრე სწორედ ისეთს, ვისაც ეხუმრებოდა.

„ვიზიტი“ სხვებისთვისაც მსურდა გამეკეთებინა, მაგრამ პირველად ვით აღდგომას და კოცნის დღეს უმანკო ტუჩებით გრიშაშვილს მივადექი. შესვლისთანავე მოვეხვიე, „ტუჩიტუჩით გადურაზე“ და მაგრათ ჩავპროშტე.

— უკაცრავად ყმაწვილო, ვერ გიცანიო, ამოშაქრა მისებურათ.

— მე, პოეტო, ერთ-ერთი თქვენი ლექსებით გაქათინაურებულთაგანი გახლავარ და აღდგომა დღე სწორედ თქვენ გასაცნობათ გამოვიყენე.

—ძლიერ სასიამოვნოა, ჩემი სახლკარი მუდმივ ღია არის ჩემი თაყვანისმცემელთათვის მიუხედავათ ნაცნობობისა.

— უკაცრავად, პოეტო, მაგრამ თაყვანისმცემელთა რიცხვში კი ნუ ჩამწერთ.

— როგორ? რას ამბობთ?

— მე მგონია ძლიერ მოკლედ და მკაფიოდ მოგახსენეთ თქვენმა ლექსებმა გამაქათინაურეს მეთქი.

— მესმის, დიახ! კარგათაც მივხვდი, მაგრამ ნუთუ თქვენ ჩემს ნიჭს და მოღვაწეობას არაფრათ აგდებთ?

— ნიჭს დიდათ, ნიჭიერო პოეტო, მხოლოდ მოღვაწეობის კი რა მოგახ...

აქ კი სიტყვის დათავება აღარ დამაცალა, მარად ეშხის ფრთებით ალერსში მფრინავი პოეტი ნაჯინჭვლ დათვს დაემსგავსა და ერთ წამს „მთვარის ვარაყით გაფერილ ძაფისაგან“ შეკერილი კაბა ჩემს ფერხთა წინაშე დაანარცხა.

— აბა კარგად დააკვირდი! გუშინ ვერ მოვასწარ და ამის შეკერვაზედ წუხელ მთელი ღამე გადავათენე.

— კი მაგრამ რაზედ იწუხებდი თავს, დიდებულო პოეტო?

— როგორ თუ რაზედ? ამას წინად ერთ სატრფოს „ხელოათმანი“ უძღვენი, მეორემ ეხლა, საალდგომოთ კაბა მომთხოვა, მესამენი და მეოთხენი ვინ იცის კიდევ რას შემიკვეთენ... თქვენ კი თურმე ამაებს მოღვაწობას არ ეძახით...

— რახან აგრეა და კარგი მკერვალის სახელი გაგვარდნიათ, ჩვენც დაგიკვეთთ რამეს.

აქ კი, უმდაბლეს საფეხურზედ ჩა-

მოსული ჩემი ხუმრობა ნიჭიერმა პოეტმა უმაღლესად განმარტა და შეიძლება ავლაბრულათაც გამსწორებოდა, რომ თავისთვინ არ მეშველა...

ბორბოშა.

ჩემი „ვიზიტები“.

აღდგომა ჯერ არ გათენებულიყო, რომ მე უკვე მოვეჰზადე სავიზიტოთ: წელში მათრახი გავირტვე, ჯიბეში რამდენიმე ლაყე კვერცხი ჩავიდე, (კარგი კვერცხლი ქრისტიანებმაც ვერ იშოვეს წრეულს, მე ვინ მომცემდა), ულვაშები გადავიწკვერტე და გამოვედი ქუჩაში.

სწორედ იმის ფიქრში ვიყავ—სად წავსულიყავ დილაზე და ვისთვის მეთქვა პირველი „ქრისტე აღსდგა“, რომ ვიღაც, შავი, პატარა ტანის ყმაწვილი დავინახე. ზურგზედ მთელი ქვეყნის გაზეთები აეკიდნა, ვირივით დატვირთულიყო, ხვნეშით მიქაქანებდა, ტრამვაის ვაგონმა არ გამასწროს ვაგზალშიო და თან მიღიღინებდა:

„ყოველ დღეი დავეთრევი
ჩემი ბარკი-ბარხანითო,
ფეხები სულ გამომენგრა
ამოდენა ხახანითო!

მთელ ქვეყანას გავანათლებ
(„განთიადის“ ქარხანითო),
თუ რომ მტერი დავამარცხე
ცარიელი ქაქანითო“.

ვიფიქრე, ვინ არის აგი გაჟივრებული რომ იკლავს თავს მეთქი და რომ ტვირთი შემემჩატებინა მისთვის, გავკარი მათრახი ზვინივით ზურგზე და სულ ნაფლეთებათ ვაქციე აღდგომის გაზეთები. ყმაწვილმა ჩაჯდა და გულ-საკლავათ დაიწყო ტირილი: ვაი ჩემს დღეს, ჩემს მოსწრებას, ყველა მე მირტყამს, ყველა მე მლანძღავს. რა გინდათ ჩემგან თქვე ურჯულოებო, მე ჩემი ტანჯვა მეყოფაო.

შემეცოდვა და გავშორდი.

—

გვიარე ცოტა თუ არა, ერთი გრძელ-ომიანი ჭაბუკი მოჰქროდა გამალებით. იღლიაში ჟურნალები ჰქონდა ამოჩრილი. დამინახა თუ არა ჟურნალი შემთავაზა და მომმართა:

„საუცხოვო ჟურნალია,
ვიცი, მოგეწონებაო,
გაიწერეთ ერთი ცალი
თუ რომ გინდათ ცხონებაო....

ზურგი შევაქციე, მაგრამ მეორე მხრიდან მომიარა და გამომიწოდა:

ხუთი მანეთის საქმეა,
კი გაქვს მაგის ქონებაო,
ამისთანა საკითხავი
არსად არ იშონებაო“.

რაკი შევატყვე თავიდან ვეღარ მოვიშორებ მეთქი, გადმოვიღე მათრახი და ისე მაგრათ გავკარი ფეხებში, რომ სამჯერ გადავიდა ყირამალა. იქვე მდგომმა მეეზოვემ წამოაყენა და მოუკრიფა მოფანტული ჟურნალები. ჭაბუკმა ერთი შეუბღვირა მეეზოვეს: იცი მე ვინა ვარ? მე მეთაურებსა ვსწერ, რედაქტორი გახლავარო და იმასაც შესთავაზა ჟურნალი:

— საუცხოვო ჟურნალია,
ვიცი მოგეწონებაო...

მაგრამ მეეზოვემ სიტყვა აღარ დაასრულებინა, ცოცხი გაჰკრა ცხვირზე და შეუტია:

— დაიკარგე შენ და შენი
გაიძვერა ჟურნალიო,
თორემ ისეთს გითავაზებ
ვერ მოგარჩენს მკურნალიო.

—

ჭაბუკი გულნატკენი გზას გაუდგა, აღდგომა ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, მაგრამ მე კი გადავსწყვიტე, პირველი ვიზიტი „თემის“ რედაქტორისათვის გამეკეთებია და ერთი კვერცხიც მიმელოცნა.

(შემდეგი იქნება)

ეშმაკეული.

სცენა

(მაკეტნების ჩოვალი).

ნამდვილათ მეორეთ მოსვლაა რაღა მე და ჩემმა ღმერთმა! კაცო, განა ეს ვაინა და ქესატობა არ გვეყოფოდა, რომ ამ ვერანა ტიფმაც გაგვიკეთა ვიზიტი! უბედურება თუ გინდა, ეს არის. ვაინას კიდენ გადარჩება კაცი. ან თავს დაიბრაკავს, ან ლურჯ ბილეთს აიღებს, ან წყთელს, მაგრამ ამ ოხერ ტიფთან რომ არც აპალჩენცობა სჭრის, არც პერვი რაზრიადი და არც ვტოროი! შეგეყარა მორჩა, გაყრა აღარ იქნება და სულ ხუთ დღეში პოდრუჩკით გაგასეირნებს ჯოჯოხეთის ტარტაროზთან. დვაინოი ვაინაა რაღა, შინ და გარეთ. არ ვიცი, რომელ ერთს უნდა გაუძლოს კაცმა! სადაც დოხტურებით ბალდახინები დაზანიატებულია, აბა ჩვენ რაღა გვეშველება! კაცი თავიდან ფეხებამდინ წამლებში ზის, თავს ვერა ჰშველის და აბა მე რაღას მიშველის იმის გამოწერილი რეცეფი! კაცო, ხუმრობა ხომ არ არის, მთელი ქალაქი განახევრდა! ამოტელა უბიტკა ჯერ ქალაქს არ უნახავს. ჩაიქცნენ რაღა ეს ჩვენი ტერტერები, ბაზაზები, მესაფლავები და მეკუბოები! აი დახოდნი წელიწადი იმათ დაიკვეხონ. ნამდვილი რთველია რაღა იმათი! ერთ ორ ტერმორღორმიას წაიბუტბუტებს ტერტერა, საცეცხლურს მიუქნ-მოუქნევს მიცვალებულს და გადადის ჯიბეში ყირამალა ფულები. მე შენ გითხრა ოფლი არ დაღვაროს აი! ჰამ მღერის, თავის ჭიას ახარებს და ჰამ ფულებს იჩხრიალებს. რა ენაღვლება თან ქეიფობს, თან აბეზპეჩენიას იძენს!...მე ვამბობდი ვტაროი გილდის კუპეწი ვარ მეთქი. კუპეწი კი არა, ქრისტე გამიწყრეს თუ ჩვენ ხელობას ფინაჩობა არ სჯობდეს დღევანდელ დროში. ამ ბაზაზებმაც ხომ სული მაიბრუნეს რაღა! თალხი ჩითების გაყიდვას ვეღარ ასდიან. დროებას დაექცეს რჯული, თორემ რასაც ბაზაზი ერთ კვირაში მაიგებდა, მე იმდენს ერთ დღეს აუსომდი. ჩემი ერთი წლის ბოთლის ნაწურით მთელ ბაზაზხანას ვიყიდდი, მაგრამ დღეს ერთი გროშიც მენატრება. არა, ცოდო არ არის რომ მეკუბოვე ავტომობილით დასეირნობდეს და მიკიტანს პერესადოჩნი კონკის ბილეთი არა ჰქონდეს!!.. ტიფი კი არა, რატომ ხოვველაც ზედ არ მოჰყვება რომ ამოტლიტოს ბარემ ერთიან

ج 158 1915/2

ეს ქვეყნიერობა. ქრისტეს მადლმა ამისთანა სიკოცხლეს სიკვდილი სჯობია ათასწილათ. სად იყო, კაცო, წინათ ამისთანა ამბები გუგულივით ვცხოვრობდით არხეინათ. პურიც ბევრი გვქონდა, ღვინოცა და ფულიც. მართალია, რაც ხანი გადის, დროებაც იცვლება, მაგრამ შაცვლაც არის და შაცვლაც. მე ამისთანა აჯაფსანდალიეთ არეული დროება არ მინახავს. მირონცხებულმა ადამიანმა ღვინო არ დალიოვო, ამისთანა გინახავთ?! მაშ რიღას ქრისტიანები ვართ თუ ერთი ხელადას თავი არ წაუჭკიეთ და კვდრის შესანდობელი მაინც არ დავლიეთ! არ ვიცი, არ ვიცი, ეს რა ღვთის რისხვაა ჩვენ თავზე!

დოხტურები იძახიან-თუ მუცელში, აი ის რაღაც ბაკილებიაო თუ მიკროსკოპიჩესკი ტივოტნები გაჩნდებიანო და ტიფი შეგეყრებათო. კაცს წელიწადი თორმეტი თვე პირი აკრული გაქვს და წვეთი ღვინო ვერ ჩაგიშვია კუჭში, გაჩნდებიან მაშ რა ჯანდაბა იქნება! აბა ერთი ქრისტიანულათ ნახევარი ვედრა ღვინო გადაუშვი მოუკუპრავში და ნახავ თუ ბაკილები კი არა, დათვები რომ დაამწყვდიო მუცელში, თუ ისინიც არ გამოიხრჩვნენ შიგ. რაც წამალია იმას არ უშვებენ და ულიცებში კირს ასხამენ და სახლების კედლებს ათეთრებენ! არა ეს ხალხი რაც უფრო მეტსა სწავლობს უფრო ტუტუცდება უფლის მადლმა. ბიჭო, შათეთრება თუ უშველის, კუჭის შათეთრება უფრო არ სჯობია სახლის შათეთრებას! იმ ვერანა კუჭში არა ჩნდება ყველაფერი! აიღე რაღა და გადაუშვი კარდანახის თეთრი ღვინო და ისე შაათეთრებს, რომ ტიფი კი არა, მგონია ხორველაც ველარ მოგეკაროს.

ახ, დროებავ, რა გითხრა რომ მარტო მიკიტნებისათვის მოიცალენეტა რა დაგვიშავებია ასეთი! ქვეყანას ვასმევდით, ვაჭმევდით და ვამბიარულებდით. ფინთი რა გვიქნია!

ნეუტელი ვაინის გათავებამდის პრავილნი ვაჭრობის ნებას არ მოგვცემენ ოხ, გერმანიავ, ჩემი ცოდო გედოს, როგორც შენ მე აპეტიტი გამიფუჭე.

გოგია.

დეპეშა

ჭიათურ. კოოპერატიული საზოგადოების ფურნე „ჩვენი ოჯახი“, რომელიც წასული წლის დეკემბერში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ერთი კვირაა რაც მკვდრეთით აღსდგა. ამიტომ აღარც დაკრძალვა და არც პანაშვიდი აღარ შესდგება.

ახლათ მოსული.

მილოცვის დეპეშები

(შხანკოლასაგან)

გაზეთებს. ქრისტეს აღდგომამდე გისურვებთ ომის ამბების მეტი არაფერი წაგცდომოდენ.

„ახალ მათრახელებს“. ქრისტეს აღდგომასთან გილიცავთ ჩაძინებას, შემდეგ თქვენს მკვდრეთით აღდგომას, თუ ისევლე არ დაგეყვინთებათ.

ჩემს მოვალეებს. შორს ჩემგან, დიპლომატიურ მოსაზრებით ბოიკოტს გიცხადებთ ნააღდგომემდი. თქვენ თქვენდა და მე ჩემოვის.

ეშმაკების არმია ლერია. (მილოცვა ქართველ ტურნილ გაზეთებს)

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.